



# ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



წერილის ნომერი: 31-31203161  
თარიღი: 11/11/2020

ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე  
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

## ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

### სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის

### კომისიის 2020 წლის 1 იანვრიდან დღეის მდგომარეობით

### გაწეული საქმიანობის ანგარიში

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია შედგება 17 წევრისაგან, რომელიც პარტიული და ფრაქციული ნიშნით მრავალფეროვანია: გიორგი გვარჯალაძე კომისიის თავმჯდომარე „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“; ცისანა ურუშაძე - „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“; კახა ბოლქვაძე - ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“; იოსებ ჩხაიძე - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“; ამირან ქანთარია - ფრაქცია „ქართული ოცნება მრეწველობა“; ბესიკ გუპრაძე - ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“; რეზო კვაჭაძე - ფრაქცია „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველო“; კახა თედორაძე - ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“; ვენე კვიციანი - „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“; ოთარ პატეიშვილი - ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“; სპარტაკ კვაჭაძე - ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველობა“; ლელა ჩახვაძე - ფრაქცია „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისთვის“; ზაზა წულაძე - ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“; აკაკი იმნაიშვილი - „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“; ელისო ჭიჭინაძე - „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“; ემზარ თევდორაძე - „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“; ირაკლი მარშანიშვილი - „ევროპული საქართველო“. კომისიის სხდომებზე დასწრების მაჩვენებელი არის შემდეგნაირი: კახა თედორაძე-3 გაცდენა; ამირან ქანთარია-2 გაცდენა; ირაკლი მარშანიშვილი-4 გაცდენა; ელისო ჭიჭინაძე-3 გაცდენა; რეზო კვაჭაძე-2 გაცდენა; ლელა ჩახვაძე-1 გაცდენა; ემზარ თევდორაძე-2 გაცდენა; ცისანა ურუშაძე-1 გაცდენა; კახა ბოლქვაძე-1 გაცდენა; ზაზა წულაძე-1 გაცდენა.

კომისიამ საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად საანგარიშო პერიოდში ჩაატარა კომისიის 4 სხდომა. განიხილა 12 საკითხი. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურს რეაგირებისთვის გადაეგზავნა 6 პრობლემური საკითხი. კომისიამ განიხილა მუნიციპალიტეტში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები. საკრებულოს შესაბამისი კომისია და მისი წევრები საანგარიშო პერიოდში აქტიურად მონაწილეობდნენ მათ შერჩევაში და განხორციელების მონიტორინგში.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას და მერიას შორის კონსულტაციის შედეგად მიღებული იქნა ერთსულოვანი გადაწყვეტილება ქალაქ ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში 10 ქუჩაზე რკინა ბეტონის სანიაღვრე არხების მოწყობის შესახებ, ჯამით 11701000 ლარის ოდენობით. კომისიამ ასევე მხარი დაუჭირა მერიის მიერ შემოტანილ საპროექტო წინადადებებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში განსახორციელებელი სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოების შესახებ.

კომისიამ ასევე განიხილა „ჯანმრთელობის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის

ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში საქართველოს მთავრობის 2019 წლის 27 თებერვლის №120 დადგენილების შესაბამისად“ მიმდინარე სასოფლო ამბულატორიების რეაბილიტაცია-მშენებლობის მდგომარეობა, რომლის ფარგლებში სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში დასრულებულია ამბულატორიის მშენებლობა.

წარმატებით დასრულდა გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში ბავშვთა საფეხბურთო სკოლის შენობის რეაბილიტაცია-მშენებლობის სამუშაოები.

წარმატებით მიმდინარეობს წყლის ხარისხის გაუმჯობესების პროგრამით განსახორციელებელი სამუშაოები ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში, ასევე ანალოგიური სამუშაოები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ზოგიერთ ადმინისტრაციულ ერთეულში სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში. დამთავრდა ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში ახალი წყალსადენის მშენებლობა რომელზედაც ჩაერთო 1000 ახალი აბოხეხტი, რომელიც განახორციელა გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ.

წარმატებით მიმდინარეობს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ დაფინანსებული აცანის საბავშვო ბაღის მშენებლობა; დასრულებულია ტენდერი და უახლოეს პერიოდში დაიწყება სუფსის საბავშვო ბაღის მშენებლობა.

მიმდინარეობს ქალაქის მე-3 საჯარო სკოლის, ლესის და გულიანის საჯარო სკოლების სრული რეაბილიტაცია, ასევე განხორციელდა ჩოჩხათის, სუფსის, ღრმაღელის, ზემო ჩიბათის და შუხუთის საჯარო სკოლების ნაწილობრივი რეაბილიტაცია, რაც გულისხმობს სახურავებისა და სველი წერტილების მოწესრიგებას.

ყურადღება ეთმობა შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციას, რომლებიც პრაქტიკულად მიმდინარეობს მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში, ასევე ხორციელდება გაბიონების და ნაპირსამაგრი სამუშაოები, სანიაღვრე არხების, გარე განათებების და სხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოები.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიაში ტრადიციულად ოპერატიულად ხდება შემოსულ განცხადებების და კორესპონდენციების განხილვა და მათზე რეაგირება. კომისიაში საანგარიშო პერიოდში შემოსულია რამდენიმე წერილობითი კორესპონდენცია, რომლებიც შესწავლილი იყო და რეაგირებისთვის გადაეცა მერიის შესაბამის სამსახურს. კომისიაში განიხილება ამომრჩეველთა ზეპირი შეტყობინებები რომლებიც შეეხება მიმდინარე, თუ შემდგომში განსახორციელებელ ინფრასტრუქტურულ პროექტებს და ხშირ შემთხვევაში კომისიის წევრებთან ერთად ადგილზე ხდება სიტუაციის შესწავლა.

პატივისცემით,

გიორგი გვარჯალაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია-საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე